

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონის პროექტი „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანმდევ კანონპროექტს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია „საქართველოს ტყის კოდექსში“ ტექნიკური ხასიათის ცვლილებების განხორციელება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ“ კანონპროექტით ხორციელდება სატყეო დეპარტამენტის რეორგანიზაცია და მის ნაცვლად იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სატყეო სააგენტო.

წინამდებარე პროექტით ხორციელდება რიგი ცვლილებებისა, რომელთა თანახმადაც ნაცვლად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო სატყეუწეობა დაწესებულების - სატყეო დეპარტამენტისა და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მუხრნეობების სახელმწიფო დეპარტამენტისა მითითება კეთდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე სატყეო სააგენტოზე და საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე - დაცული ტერიტორიების სააგენტოზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

დამატებით ხარჯებს არ იწვევს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს:

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ასეთები არ არსებობენ

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

არ ითვალისწინებს გადასახადის ოდენობის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასეთები არ არსებობენ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი სხვა ორგანიზაციისათვის.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი – საქართველოს მთავრობა